დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს N10 დადგენილებით (08.08.2025)

შპს ,,ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმი“

საერთაშირისო გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის წესი

ბათუმი

BAU International University Batumi LLC (R.N. 445434888) | შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმი (ს.კ. 445434888)
Address: 237 Fridon Khalvashi Ave. Batumi
Email: info@bauinternational.edu.ge
Website: bauinternational.edu.ge
Phone: +995 (422) 21-25-35/36
Fax: +995 (422) 21-25-37

ზოგადი დებულებები

1. შპს ,,ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმის“ სტუდენტებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ საერთაშიროსო გაცვლით პროგრამებში, რომლებიც ხორციელდება პარტნიორ უნივერსიტეტებთან კოლაბორაციის საფუძველზე. სტუდენტთა მობილობა გრძელდება ერთი სემესტრის განმავლობაში, ხოლო აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ხანგრძლივობა განისაზღვრება 5 სამუშაო დღის ვადით.

2.საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისთვის სტუდენტებისა და პერსონალის შერჩევა ხორციელდება წინამდებარე წესის შესაბამისად.

3.კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოიცემა რექტორის ბრძანება.

4.სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო კურსები, რომლებიც შემოთავაზებულია პარტნიორი ინსტიტუციის მიერ.

კონკურსის გამოცხადება

1.საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით.

2.რექტორის მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტში აისახება გაცვლითი პროგრამებში მონაწილეობის მიზნით კონკურსის ჩატარების წესი, ვადა, საკონკურსო პირობები და შერჩევის კრიტერიუმები.

3.კონკურსის პირობები საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ასევე სასწავლო ბაზისა და საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით ეგზავნება სტუდენტებსა და პროფესორებს. ტარდება საინფორმაციო შეხვედრები. გარდა

ასიდა, სტუდენტებს შეუძლიათ კონსულტაციისთვის მიმართონ საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს.

4.კონკურსანტების შერჩევა ხორციელდება კომისიის მიერ.

5.სტუდენტებმა, აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა, რომლებიც დაინტერესებული არიან გაცვლით პროგრამებში მონაწილეობით, აუცილებლად უნდა შეავსონ აპლიკაცია ელექტრონული ფორმით და წარადგინონ კონკურსის წესით განსაზღვრული დოკუმენტები.

6.მოთხოვნილი დოკუმენტები უნდა მოიცავდეს:

- Europass CV;
- სამოტივაციო წერილი;
- ნიშნების ფურცელი GPA-ის მითითებით
- პასპორტი/პირადობის მოწმობა
- ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ
- გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატია (აკადემიური პერსონალისთვის)

7.მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ შესაძლებელია მოთხოვნილ იქნას დამატებითი დოკუმენტაცია.

8.დოკუმენტები წარდგენილ უნდა იქნას ქართულ და ინგლისურ ენაზე.

9.კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს.

10.კონკურსში მონაწილეობის აუცილებელი პირობაა, რომ სტუდენტი პარტნიორ უნივერსიტეტში გასავლელი/წასაკითხი კურსის ენას ფლობდეს მინიმუმ B1 დონეზე.

შერჩევის ზოგადი წესი

- აპლიკაციის შევსება;
- მოთხოვნილი დოკუმენტების წარდგენა და კომისიის მიერ შეფასება;
- გასაუბრება;

- ნომინირება პარტნიორ უნივერსიტეტში;
- საბოლოო შერჩევა მიმღები უნივერსიტეტის მიერ;

უცხო ენაში კომპეტენციის დადასტურება

1.საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისთვის სტუდენტმა, აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა უნდა გაიროს უცხო ენაში კომეტენციის დადასტურების პროცედურა. აუცილებელი პირობაა ენის ცოდნა B1 და B2 დონეზე.

2.ენობრივი კომპეტენცია დასტურდება ზეპირი გასაუბრების და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

3.კონკურსანტის მიერ წარმოდგენლი საერთაშორისო სერტიფიკატით მონაწილე თავისუფლდება შიდა გამოცდისგან.

შედეგების გასაჩივრება:

1.კონკურსის შედეგების გასაჩივრება მონაწილეებს შეუძლიათ ერთი სამუშაო დღის ვადაში;

2. კომისია განიხილავს საჩივარს ერთი სამუშაო დღეში. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი აპლიკანტს აცნობებს შედეგს მომდევნო სამუშაო დღის 18:00 საათამდე.

სტუდენტების მიერ საგნების არჩევა პარტნიორ უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად

1.გაცვლითი პროგრამის დაგეგმვის პროცესში, პარტნიორი უნივერსიტეტი ასაχაროვებს და წერილობითი ფორმით გზავნის ინფორმაციას კონკრეტულ სემესტრში არსებულ საგნებთან დაკავშირებით: საგნების ჩამონათვალი, სასწავლო კრედიტები, სწავლების სემესტრი, სხვა აუცილებელი ინფორმაცია.

2.კონკურსისა და პარტნიორ უნივერსიტეტში არსებულ სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებით ინფორმაცია კონკურსის დაწყებამდე მიეწოდება პროგრამის ხელმძღვანელსა და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს. პროგრამის ხელძღვანელი ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურთან ერთად, სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით, რეკომენდაციას უწევს სტუდენტს შესაბამის საგნებთან თავსებადობასთან დაკავშირებით.

3.სტუდენტებს რეკომენდაცია ეძლევათ აუცილებლად გაიარონ კონსულტაციები პარტნიორ უნივერსიტეტში ასარჩევ საგნებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში თუ პარტნიორ უნივერსიტეტში სტუდენტის მიერ უკვე არჩეულ საგნებთან დაკავშირებით რაიმე შეიცვალა (მაგ: კრედიტის მოცულობა)პარტნიორ უნივერსიტეტში მყოფმა სტუდენტმა აუცილებლად უნდა აცნობოს ამის შესახებ საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.

პარტნიორ უნივერსტიტეტში ნომინირება

1.საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი პარტნიორი უნივერსიტეტის წარმომადგენელს აწოდებს ინფორმაციას ნომინირებული სტუდენტის, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ნომინირების შესახებ.

2.სტუდენტის, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ ეგზავნება პარტნიორი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.

3.პარტნიორი უნივერსიტეტი სტუდენტის მიღება/არმიღების შესახებ წერილობით აცნობებს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს. პარტნიორ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, სტუდენტს შპს ,,ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმის“ სტატუსი არ უჩერდება.

კრედიტების აღიარება

1.საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ, პარტნიორი უნივერსიტეტი სტუდენტს აწოდებს ინფორმაციას მიღებული კრედიტების თაობაზე დოკუმენტის სახით.

2. უნივერსირტეტი ახორციელებს გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარებას/გავლილი სასწავლო კურსების თავსებადობის დადგენას უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ვალდებულება

1.გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიზნით სტუდენტები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი პარტნიორ უნივერსიტეტთნ აფორმებენ ინდივიდუალურ ხელშეკრულებას (შეთანხმება მობილობის შესახებ შესახებ, შეთანხმება გრანტის მიღების შესახებ)

2. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი უნივერსიტეტის სტიპენდიის გარეშე რეგისტრირდება პარტნიორი უნივერსიტეტის სასწავლო კურსებზე, მგზავრობასთან, განთავსებასთან, დაზღვევასთან, სწავლის გადასახადთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს თავად სტუდენტი.

3. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ვალდებულნი არიან წარმოადგინონ წერილობითი ანგარიში მობილობის დასრულების შემდეგ.

BAU International University Batumi LLC (R.N. 445434888) | შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმი (ს.კ. 445434888)
Address: 237 Fridon Khalvashi Ave. Batumi
Email: info@bauinternational.edu.ge
Website: bauinternational.edu.ge
Phone: +995 (422) 21-25-35/36
Fax: +995 (422) 21-25-37